

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ელზა ხოჭოლავას მიერ 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული სამუშაოს ანგარიში

ჩემს მიერ წარმოდგენილი ანგარიში მოიცავს 2022 წლის 1 იანვრიდან დღემდე გაწეულ სამუშაოს. გახლავართ საკრებულოს წევრ, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, საფინანსო საბიუჯეტო და სოციალურ საკითხთა კომისიების წევრი. ასევე მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრი. საკრებულოს სხდომებთან ერთად აქტიურად ვარ ჩართული ზემოთ ხსენებულ კომისიებში შემოსული საკითხების განხილვასა და ბიუროს მუშაობაში.

საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მივიღე საკრებულოს 11 სხდომაში, მათ შორის 2 რიგგარეშე. ასევე მონაწილეობა მივიღე საფინანსო საბიუჯეტო კომისიის 5 სხდომაში, განხილულ იქნა 6 საკითხი. სოციალურ საკითხთა 2 სხდომაში, განხილულ იქნა 2 საკითხი.

ჩვენი ფრაქციის თანამონაწილეობით სისტემატურად იმართება საკრებულოს წევრების შეხვედრები საკრებულოს სხდომებზე. შეხვედრები მქონდა როგორც მერიის სამსახურების წარმომადგენლებთან ასევე მის დაქვემდებარებაში მყოფ არასამეწარმეო-არაკომერციულ იურიდიულ პირებთან, სადაც საუბარი ეხება წამოჭრილი პრობლემების მოგვარების გზებსა და შემდგომი სამოქმედო გეგმის დასახვას. მუდმივი კომუნიკაცია მაქვს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან. ვმართავ მათთან შეხვედრებს ინდივიდუალურ ფორმატში. ამომრჩევლებთან გასვლითი შეხვედრების რაოდენობა 12. ამ შეხვედრებზე მონაწილეობდა დაახლოებით 250 ადამიანი მოქალაქე. აქტიურად ვიყავი ჩართული სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამებში, ასევე ვიყავი ჩართული სოფელ მუხურში განთავსებული მეფუტკრეობის განვითარების ცენტრის ტერიტორიის პრობლემური საკითხის მოსახლეობის ინტერესების სასარგებლოდ გადაწყვეტაში. თვალყურს ვადევნებ ინფრასტრუქტურის, ტროტუარებისა და გარე ფასადების მოპირკეთების საკითხს. ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის, მუშაობის მანძილზე შეძენილი გამოცდილებიდან გამომდინარე, უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე, მაქსიმალურად ვიქნები ჩართული მოსახლეობის მიერ დაყენებულ სხვადასხვა პრობლემური საკითხების მოგვარებაში.

ე.ხოჭოლავა

31.10.2022წ.